

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

პრესობა უდსენი
A3



ფილიპინებზე წინასაარჩევნო პოლიტიკური მკვლევარები დაიწყო
A7



ანტიკური კოლხეთის აღმოჩენები სტოკჰოლმში
A10



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA

HYUNDAI

ნატო-ს ახალი პრინციპი მოქალაქეებმა გადაწყვიტონ

ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება ძალაში რჩება. ნატო კვლავ მზად არის, საქართველო და უკრაინა თავის რიგებში მიიღოს. როგორც გასულ კვირას გამართულ ბრიუსელის მინისტრიალზე იყო დეკლარირებული, ამისთვის ორივე ქვეყანამ ალიანსის რეკომენდაციები უნდა შეასრულოს. რაც შეეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთის ფედერაციის მიმართ ალიანსის დამოკიდებულებას, ამ საკითხზე ნატო-ს წევრმა 28 ქვეყანამ მკაფიო პოზიცია გამოხატა.

დათო ბაჩისონია
ბრიუსელის მინისტრიალზე გაცხადებული პრინციპები განსაკუთრებით საქართველოსთვის არის ხელსაყრელი, რადგან ბუქარესტის სამიტისგან განსხვავებით, გასულ კვირას, ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიების სხდომების დაწყებამდე, ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატო-ში ინტეგრაციისთვის...

ვის, ალიანსის შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან ერთად, აუცილებელია, ამის სურვილი ირივე ქვეყანამ გამოხატოს. საქმე ისაა, რომ 2008 წლისგან განსხვავებით, როცა საკმარისი იყო ქვეყნის ხელისუფლების განაცხადი, რაც მთელი ქვეყნის გადაწყვეტილებად მიიჩნეოდა, ამჯერად მოქალაქეების განწყობა გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს. ასეთი მოთხოვნა საქართველოს ნაკლებად უქმნის პრობლემებს, რადგან 2008 წელს ჩატარებული პლემბისციტის შედეგების თანახმად, ნატო-ში ინტეგრაციის ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა (72,5 პროცენტი) უჭერს მხარს. რაც შეეხება უკრაინას. როგორც "24 საათს" "საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა განუცხადა, ნატო-ში განვირინების პერსპექტივის თვალსაზრისით უკრაინასა და საქართველოს შორის დიდი განსხვავებაა.

მაღ, ნატო-ში ინტეგრაციის ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა (72,5 პროცენტი) უჭერს მხარს. რაც შეეხება უკრაინას. როგორც "24 საათს" "საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა განუცხადა, ნატო-ში განვირინების პერსპექტივის თვალსაზრისით უკრაინასა და საქართველოს შორის დიდი განსხვავებაა.

ბაზრქალაზა A2 გვირდუა

ზოგი რამ თბილისის კინოფესტივალის შესახებ

მსოფლიო კინო უხეირო ტიტრებისა და უადგილო ყურნალისტების თანხლებით

ნა ვაკაა

ექვსდღიანი კინომართონი დასრულდა, თბილისის მეათე საერთაშორისო კინოფესტივალის უკვე ისტორიაა, ის ისტორია, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ კვალს ტოვებს. ამ შემთხვევაში ასზე მეტი კვალი დარჩა - ფესტივალზე დაახლოებით ამდენი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი იყო წარმოდგენილი. ამას ემატებოდა საინტერესო რეტროსპექტივები, სპეციალური ჩვენებები, მასტერკლასები და თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმები. წელს ფესტივალის საიუბილეო თარიღს აღნიშნავდა, ამიტომ მისი ფორმატი რამდენადმე შეცვლილი ვახლდა - მოხსნილი იყო საკონკურსო პროგრამა, რამაც მეტ-ნაკლებად დააგდო საფესტივალო ფილმების ხარისხი, თუმცა ნაკლოვანებები ტექნიკური თვალსაზრისით მეტი იყო.

ბაზრქალაზა A11 გვირდუა



"ვისარტყელის შემქმნელი"

ბოსტნეულები და ხეივანები

ნოდარ ლაღარია

არა, გიგა ზედანია პირველი არ ყოფილა, ვინც ეს ტელევიზიით განაცხადა, არც მე ვიყავი პირველი, თუნდაც რამდენჯერმე გამოითქვამს სტატიებში იგივე აზრი... პირველის დადგენა უკვე შეუძლებელია და უაზროც კი არის - იმდენად ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები, ამ სიტყვის პირველადი გაგებით, არ არსებობს. და მაინც, რადგან მაინც არის ამ განსაზღვრების მატარებელი ადამიანთა მცირე ჯგუფები, ჩვენც სხვა გზა არა გვაქვს - ასე-

თებად უნდა მივიღოთ. ამ გაურკვეველ მრავალფეროვნებას ქართულმა მედიამ პოლიტიკური სპექტრი შეარქვა. სპექტრი კი (თუმცა პირველადი მნიშვნელობით ან წარმოდგენას ნიშნავს, ან სულაც მოჩვენებას) სტრუქტურირებას მოითხოვს. ამასაც შეეცადნენ ჩვენთან, მაგრამ დაბნეულობა მხოლოდ გაძლიერდა. მემარცხენეებად და მემარჯვენეებად დაყოფის უკვე საკმაოდ გაცვეთილი პრაქტიკა საქართველოში არ მუშაობს. ამიტომაც შემოვიღო დაყოფის სხვა ხერხები, როგორც დავით პაიჭაძე იტყოდა, de modu operandi, ანუ მოქმედების წესის მიხედ-

ვით. ამგვარი კლასიფიკაციის ნიმუშია, მაგალითად, "კონსტრუქციული" და "რადიკალური" ოპოზიცია. მეც ერთი ასეთი კლასიფიკაციის შემოღება მსურს ახლა. ერთი სიტყვით, ქართული პოლიტიკური პარტიები შეიძლება დავყოთ "ბოსტნეულებად" და "ხეივანებად". თუ ვინმეს თავიდანვე რაიმე შეკითხვა გაუჩნდა, წინასწარ ვეტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობა ხეივანთა კლასში შედის. ახლა კი განვმარტავ იდეას, რომელიც, მართალი ვითხრათ, მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ ვგრძნობ, რომ გარკვეულ მიზნებისთვის შეიძლება იმუშაოს.

მამ ასე, "ბოსტნეულები" არიან ისეთი პარტიები, რომლებმაც პარტიობის არაფერი ეტყობათ. თავისთავად, სიტყვა "ბოსტნეული" საკმაოდ უწყინარ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კარგი მომვლელი არსებობს: აბა, წარმოიდგინეთ ბოსტნეულის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელსაც არავინ უვლის - სანამ ცხოველქმედებას შეწყვეტს, საკმაოდ უნარი აქვს იმისათვის, რომ საცხოვრებლად უვარგისი გახადოს კარგა დიდი ფართობი.

ბაზრქალაზა A3 გვირდუა



სიასლე!

მიიღეთ საქართველოში ყველაზე
დაბალპროცენტიანი სესხი
ბანკ „რესპუბლიკისგან“

გახდით
ჩვენი
კლიენტი...

დაისვენეთ
მაღალი
პროცენტებისგან

■ იპოთეკური სესხი
13% - დან

■ ავტო და სამომხმარებლო სესხები
19% - დან

ჩვენი მრავალფეროვანი სესხები თქვენს განკარგულებაშია
თქვენი ხელფასის ან სხვა შემოსავლის ბანკ „რესპუბლიკაში“
გადმოტანისთანავე!

დაგვირეკეთ 90 90 90 (მობილურიდან *90 90) ან მობრძანდით ჩვენს
ნებისმიერ ფილიალში და ჩვენ მოგანოდებთ ინფორმაციას, თუ როგორ
გადმოიტანოთ თქვენი შემოსავალი მარტივად.

 **ბანკი რესპუბლიკა**
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიკოვა ჟანარული

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge



FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA

პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიაში



- საკუთრების 100% უფლება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონა თიზ-ში
- არანაირი კონტროლი უცხოური ვალუტის გადაცვლაზე
- 100% განთავისუფლება მოგების გადასახადისგან
- კაპიტალისა და მოგების 100% რეპატრიაცია



უნიკალური მდებარეობა უსასრულო შესაძლებლობები

შპს RAKIA GEORGIA FIZ (შპსიზი) (თბილისი)
 საპროექტო, შპსიზი, 4400, ალ.შანიანიძის ქ. 47
 ტელ: (995 393) 25 25 4/5/6
 ფაქსი: (995 393) 25 25 1/9

შპს RAKIA GEORGIA FIZ (წარმოება/სამსახურის მიწისთვის)
 საპროექტო, თბილისი, 0103, თბილისის ქ. 20
 ტელ: (995 32) 27 77 33
 ფაქსი: (995 32) 27 73 66

E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
drskc@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

საგადასახადო უპირატესობების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქ.ნატო ფიფიას – n.pipia@rakiageorgia-freezone.com

